გახეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—3 მან. 20 კ. ერთი თვით—80 კ. გამოწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ხვეულებრივი ატიქონი პირველ გვერდხე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბექდვა თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბექდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, აიილის 9 ს: საგამოს 2 საათამდე და სალამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმებში დილის 11—12 საათამდე. ხელმოუწერელი წორილები არ დაიბექდება. დაუბექდავ მცირე წერილებს რედაქცია არ ანახებს მათ შეხახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრუდობს. ანახებს ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხაობები. პინციპიალურ წერილებზე გონობარი-შესახებ საქიროა წინდაწინ მოლაპარკება. წერილობით პასუბისათვის საქიროა საფოსტო მარკებია წერილები სუფთათ უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რე დაქცია საქიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელით საქიროა თამია. ფულის გამოსაგზავავაი. დაქცია საქიროთ დაინახავს, წერილს შეასწორ-შეამოკლებს. ადრესის გამოსაცვლელით საქიროა თამია. ფულის გამოსაგზავზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія "Сорапань", Калистрату Константиновичу Цуладзе.

# 85531

გამოდის ეოკელ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

8 3 8 9 00 0 0 0 6 6:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან:

ქალაქ გარეთ 8 თვით—2 მან. ნ0 კაპ. თფილის ში 3 თვით—2 მან. 20 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან ცალკე ნომერი ყველგან — მრთი შბური

ფულის გამოსაგზავნი არდესი:

Тифлисъ, тип. "Сорапань", Калистрату Конст. Цуладзе.

## 79700.037290

♦ 6986 ¥996 99999 ♦

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

8 a n b l 6 a a b a co n

### 3063M 62837662M

ლიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., გ. 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფო-

ექ. ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ, და ბაგშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა.ი ბობოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყმელის, ცხვირის და

ყურის ავათყ.

ექ. ბ. მ. მაკარლგი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

121/2 b.; bogom., 395. to 3550b sgsondy.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 გ.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
ექ. ი. გომაროელი: ყოველ ღღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. გ. ხ. მუსხელი გილი: ყოგელ დღე, კვირა დღ. გარდა  $2-2^1/_1$  ს.; თვალის ავათმყ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—14

38000 06 00000

## 

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. აგქალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

### 30200606

საქალებო პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღება მოსწავლეები 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. 10—10.

### G. 7799 406073U

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ აგათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. ჯაში. ავათმყოფე-ბის მიღება ყოველ დღე.

## 4. 30 030

ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფეების სასიამოვნო და ყველასათვის ხელ-მისაწდობია. (10 – 4)

#### manmalo, 18 namala

კლემანსოს სამინისტრო გადადგა და საფრანგეთის პალატაში ახალი სამინისტ. რო შედგა არისტიდ ბრიანისა. ასეთი ცვლილება სამინისტროებისა ჩვეულებრივ მოასწავებს კონსტიტუციონურ ქვეყნებში პოლიტიკის შეცვლას, ძველი გზის დაგმობას და ახალით წასვლას, რაც შედეგია თვით პალატაში ძალთა განწყობილების შეცვლის, მარა ეს უკანასკნელი imobolo, magamo spas sopposol gaტანილ დაწვრილებით ცნობებიდან სჩანს გამოწვეული არაა ასეთ პრინციპიალურ მოსაზრებით. აქ უფრო უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტი როლი ითამაშა პირადმა შეტაკებამ დელკასესა და კლემანსოს შორის საფრანგეთის სამხედრო ძალების მდგომარეობის შესახებ. ამ საკითხში მთავრობის მოქმედება აშკარაა, ბევრი ნაკლითაა სავსე, მარა ეს მარტო კლემანსოს არ მიეწერება. და აი, ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ კლემანსოს სამინისტროს ბევრი წევრები თავის ადგილზე დარჩენ ახალ კაბინეტშიაც და თვით პრემიერეთაც მისი ყოფილი წევრი ბრანი დაინიშნა. ბრიანის ვინაობას დღეს ვაცნობთ მკითხველებს. აქ კი ალსანიშნავია მხოლოდ, რომ, ცხადია, ის განაგრძობს იმავე პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა დღემდე კლემანსო. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი ახალი სამინისტრო გვერდებს დაიმტვრევსო, განაცხადა მან ത്രാ ഉപ് പ്രാക്കായെ വിരു പ്രാവ്യാരം വിരും მანსომ? როგორი იყო მისი მოქმედება?

აქედან ალსანიშნავია, როგორც დადებითი შემოქმედება—სამხედრო სასამართლოების გაუქმება, პროგრესიული შემოსავლის დაგვარი გადასახადი და მოხუცთა პენსიები, რომელიც ხუთმეტი წელიწადია ელის ზედა-პალატაში დამტკიცებას და ყოველთვის უარყოფილი იყო. ესაა სულ, რაც მან გააკეთა თითქმის სამი წლის განმავლობაში. სამაგიეროთ, ამავე ხნის განმავლობაში თავი ისახელა იმით, რომ "კანონიერების დასაცველათ" მუშების გაფიცვა იარალით ჩააქრო. სინდიკალისტებს სასტიკი ომი გამოუცხადა, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ ამდენი უბედურება მიაყენა, კავშირებს ელემენტარულ უფლებათა მიცემაზე უარი უთხრა. ამით მან გამოააშკარავა ნამდვილი სული და მისწრაფება ბურჟუაზიული დემოკრატიისა რომელიც ყოველთვის იძულებულია ორ სკამ შუა იჯდეს, სოციალისტის სახელი ითვისოს და სოციალისტურ მისწრაფებებს კი ხიშტები მიაგებოს, რეაქცია გმოს და ბურჟუაზიის რეაქციონურ ბუზღუნის გამო მთელი ქალაქი (პარიჟი) ჯარებით აავსოს 1 მაისობის დროს. ერთი სიტყვით, მან დაგვანახვა, რომ თვით ბურჟუაზიულ დემოკრატიასაც

არ შეუძლია ნამდვილი დემოკრატიული რეფორმების ბოლოდე გატარება ცხოვრებაში. იგი იძულებულია არსებული დაიცვას და ამით კერძო საკუთრების ნიადაგზე დადგეს. დემოკრატიული პრინციპების სისწორით გატარება კი ამ ნიაcozal damal zodmorbine Fatodaminogons, მისი დამამხობელი ძლის მომზადებელია. ბურჟუაზიული დემოკრატია კი სწორეთ ამას უფრთხის და ასე თავის სიტყვას momoomob, oragol comood boldon yohymal. storn badetolom sholono ბრიანისა, ყოფილი სინდიკალისტის, სოციალისტის და სხე., ეჭვი არაა, კლემანსოს პოლიტიკის გამაგრძელებელი იქნება და მაშასადამე, ერთხელ კიდევ დაამტკიცებს იმ აზეს, რომ ბურჟუაზიულ სამინისტროში შეიძლება იყონ მილიერანები, მარა არა ნამდვილი მუშათა ინტერესების დამცველები. თვით უორესი, იომელიც ყოფლთვის მზათაა დემოკრაეიას ხელი გაუწოდოს და რესპუბლიკის ახელით დახმარებაც ალუთქვას, ხედავს, იმ ეს შეუძლებელი ხდება. კლემანსოს მიქმედგამ დაარწმუნა ის ამ მემარცხენეია ბიოკის შეუძლებლობაში და იგი რაოდემეჯერ გამოვიდა თავის მქუხარე სიტყვეთ კლემანსოს წინააღმდეგ და ნამდვიძ დემოკრატიზმის დასაცველათ. მომავალაც მას არა ერთხელ შეხვდება ბრიანთ ბრძოლა, რომელსაც სამინის. ტროშისი წინანდელი მეგობარი მილიერანეზის. ამგვარათ, მუშათა კლაbob 3mgns obstragings, maganing სრული აგონისტი მთელი დღევანდელი წყობილე, მთელი ბურჟუაზიული საmasomy!

რევოლი და კონცრ-რევოლიუცია

(გაგრძელება.)

23 სექტერს 1906 წ. შეიკრიბა პირველი შეასი. ხალხი დეპუტატებს აღტაცებით სება და საერთო ბედ-ნიერების დასების მოლოდინშია. რას აკეთებს მეჯღ?

სპარსეთის გლიუცია სოციალურია:
ის შაჰისა და ების ეკონომიურ ბატობას ემუქრედა წარმოების მეთაურათ ბურჟუაზიცხადებს. ის პოლიტიკურია. სოცური ცვლილება პოლიტიკურ ძალლებას ძველ ბატონს
შაჰს აცლის ხეღნ და ხალხის ხელში გადააქვს ბუბიის გასაბატონებლათ. ამის ცხოვ ში გაყვანა მეჯლისის საქმეა.

მეჯლისი უპი ესათ კონსტიტუ. ციას იმუშავებს, დესპოტიზმს ძირ-ბუდიანათ ამოვაგლი. მის მივრ შე-მუშავებული შედათ დემოკრატიული კონსტიტუცია საფერ-ედინ შაჰმა და მისმა მემკვიდრეჰომედ-ალიმ და-ამტკიცეს და 18 დ 906 წ. გამოა-ქვეყნეს.

მარა ჯერ კიდევ სტიტუციის შემუშავება დაუმთავრეა, რომ მეჯლისს წინ დიადი დაჭოვბა დაუდგა. ეს გარეშე სახელმწიფა. თანამედროვე ბურჟუაზიული სახიფოები გაფაციცებით ეძებენ ბაზრი სადაც საკ-മന്നെ ന്ന്യൂർമാ, റ്റ താറ്റാപ്രൂർറ്റന്ന താთებს აწვდიან. ინგლის რუსეთი დიდი ხანია სპარსეთს შესიან და მის ფინანსიურ და ტერიტოურ ჩაყლაპgob (3000mmd)6. Box mo nommdb 60ციონალური ბანკის დაა. ეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს წარმოების დედაძაროვია. ამ დიდ-ძა დაპატრონებას ინგლისი და რუსიეუდგენ. მეჯლისი მათ ებრძვის, მახე უბედურებას! რუსეთთან ხედულობით შაჰი დათანხმებულა პირვენებადაურთველათ 1912 წლამდე პურ ოპერაციას არ მოვახდენო. სპ რუსეთის მონა შეიქნა. მეჯლისი იძულებულია ნაციონალურ ბანკში, რომელიც
31 ინვარს 1907 წ. დაარსდა, რუსეთისა და ინგლისის მონაწილეობა დააკანონოს. ამით სპარსეთი უცხო სახელმწიფოთა იარაღი შეიქნა. რეფორმათა გასატარებლათ ფულია საქირო. ფული კი ბანკის ხელშია. ბანკს კი გარეშე მტრები
ბატონობენ. მეჯლისის ყოველი დადგენილება, რაც ინგლისისს ან რუსეთს
არ მოსწონს, უფულობის გამო ცალიერ
დადგენილებათ უნდა დარჩეს. გარეშე სახელმწიფოები სპარსეთის განახლებას

ხელს უშლიან. პირველ დაბრკოლებას შემდეგი მოსდევს თან. მეჯლისი ხალხთან დაახლოვებას კისრულობს. ყველა ირანელს უფლება ეძლევა თავისი გაჭივრება პირადათ მეჯლისს გადასცეს. პარლამენტი სიმართლის სახლი შვიქნა და ისიც Boommal Bobol Bogh სამართლიანობა ხალხს მიანიქოს. მართლაც, ს პარსეთში ადგილობრივი თვითdamoggmada an antigande, baladamommet კი შაჰის მიერ დანიშნული მექრთამე მოხელენი აწარმოებენ. ასეთ სახელმწიფოში ერთათ ერთი ვარსკვლავი მეჯლისია და მთელი ქვეყნის ყურადოებაც მისკენაა მიპყრობილი და ყველა მისგან ელის სამარ-താത്സി. മാനാ വി ഉപർ താദ്വവി താദ്വവി എാന്നും ფაა, ჰარლამენტი კანონმდებელი დაწესებულებაა, მეჯლისი კი იმის მაგიერ, რომ ახალი კანონები შეიმუშავოს და შის ცხოვრებაში გატირების შეუდგეს, უმთავრეს დროს წვრილმანი საკითხების განხილვას ანდომებს. ამას მეჯლისისა და სპარსეთის ხალხის მტრები ხელზე იხვევენ და ხალხში აგიტაციას აჩალებენ, მეჯლისი ვერას გვაძლევსო!

ხალხი მეჯლისისაგან უპირველესათ სოციალური ტანჯვა-წვალების შემსუბუქვბას მოელის. მეჯლისი კი ამას უარყოფს: იქ გაბატონებული კლასებია თავმოყრილი. მოლები და სეიდები, ხანები და ვაჭრები—აი მეჯლისის სულის-ჩამდგმელნი. მშრომელი ხალხი ბნელია და თავის ისედაც მცირე საარჩევნო უფლებას თავის მტერთ მიანდობს, სახელმწიფოს მოვლა რა ჩვენი საქმეა, თქვენ გვიპატრონეთო სახელმწიფოს ახალი ბატონ-პატრონნი კი გლეხთა ჰისა და ხანების კლანჭებისაგან განთავისუფლებაზე კრინტსაც არ სძრავენ, ეს მათთვის დამღუპველია. მეჯლისი გადასახადთა შემსუბუქებას უარყოფს! გაბატონებული კლასები ყველგან მშრომელი ხალხის ხარჯზე აგებენ მის საწინააღმდეგო პოლიტიკურ ორგანიზა-

ციას!
ასეთ პირობებში მეჯლისის მიერ ხალხის ნდობის დაკარგვა ახლო მომავალის
საქმეა. ხალხისა და მეჯლისს შორის კავშირის განმტკიცება შაჰმა იკისრა. დესპოტები თვითვე თხრიან მათ დასაკლავ
დანას!

ისიც იყო მეჯლისი ქვეყნის მოწყობას შეუდგა, რომ მუზაფერ-ედინ შაჰი 27 დეკ. 1906 წ. გარდაიცვალა. ტახტზე მისი შვილი, ცნობილი აზერბეიჯანის მტარვალი გენერალ-გუბერნატორი ალიმაჰომედი ავიდა. ის თავიდანვე კონსტიტუციას მტრულათ უყურებს, ჩემს "საყვარელ" ხალხს მე და არა მეჯლისი უნდა ფლობდესო. მეჯლისი მტარვალ გუბერნატორთა და მოსამართლეთა გადაყენებას და კონსტიტუციონალისტთა დანიშვნას მოითხოვს. შაჰი უარყოფს, აღმასრულებელი ძალა ჩემს ხელშიაო. შაჰი კონსტიტუც. და მაზე აგებულ პარლამენტარულ მართვა-გამგეობას ფეხ-ქვეშ თელავს, მინისტრები მე და არა მეჯლისს უნდა მორჩილებდენო. მოკლეთ, შაჰი აცხადებს თქვენ იყბედეთ, სპარსეთში კი ძველი წესები კვლავაც უნდა ბატონობდესო. ხალხი ამხედრდა.

სპარსეთში მეჯლისის არჩევანი ორ-

საფეხურიანია. მტარვალები ცდილობენ ხალხის უფლება შეკვეცონ და ასე ხალ. ხის განთავისუფლება უარყონ, მარა ხალხის საწინააღმდეგოთ მიმართული დესპოტის ხაფანგი რევოლიუციის იარალი შეიქნა. ამრჩევლები თავიდანვე შეკავშირდენ და ენჯუმენების სახელით სპარსეთი მოჰფინეს. მათი მიზანია მეჯლისის კანტროლი. გაუნათლებელი და ყოველივე ორგანიზაციას მოკლებული ხალხი დიად ორგანიზაციას აარსებს და ასე დემოკრატიას აძლიერებს. ენჯუმენები სახალხო, ე. წ. ნაციონალისტური პარტიის დამხმარე და მისი ორგანოები შეიქმნენ. რევოლიუცია ძლიერია. ის, რაც ოსმალეთს აკლია—ამოძრავებული ხალხი და მისი ორგანიზაცია — სპარსეთს თავიდანვე დაჰყვა. აი მეჯლისის ძლიერების სათავე.

მაჰომედ-ალი შაჰის პოლიტიკა ხალხს ამხედრებს. ენჯუმენები შაჰის ალაგმვას მოსთხოვენ მეჯლისს. შაჰი იძულებულია მეჯლისის წინაშე ქედი მოიხაროს და კონსტიტუციას ორჯერ შეჰფიცოს—უკანასკნელათ 31 დეკ. 1907 წ.

მარა ტირანები ფიცის ასრულებას მხოლოთ შეუგნებელი ხალხისაგან ითხოვენ. თვითონ კი "ნებითა ღვთისათა" ფიცი ფეხებზე ჰკიდიათ, რომ ბედკრულ ხალხს მოპოებული უფლებები წაართვან და ის კვლავ ძველებურათ დაიმორჩილონ, დესპოტები ქედს მხოლოდ ძალის წინაშე იხრიან!

ძალა კი, ამჟამათ ხალხის ხელშია და შაჰიც დროს უცდის, შერჩეულათ მეჯ-ლისს თავს დაესხას და ხალხს კონსტიტუ-ცია ხელიდან გამოგლიჯოს.

კონტრ-რევოლიუცია აუცილებელი შეიქნა. **6. რ.** 

(შემდეგი იქნება)

### რევოლიუცია სპარსეთში

(8 2 8 9 m 9 8 n @ 2 5).

რუსეთის მთაგრობის უკმაყოფილება. გაზეთ "რუსსკოე სლოვოს"-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ პეტერბურგის დიპ-ლომატიურ წრეებში ხმები გავრცელდა, თითქო რუსეთის მთავრობა ძალიან უკ-მაყოფილო იყოს, რომ სპარსეთის ახალი მთავრობას დამოკიდებულება აქვს კავკა-სიის რევოლიუციონერებთან და ეფრემა თეირანის პოლიცმეისტერათ დანიშნეს. ამის შესახებ რუსეთის მთავრობა წინა-დადებას მისცემს სპარსეთს.

რუსეთის დიპლომატის აზრი სპარსეთის საქმებზე. სპარსეთის ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ რუსეთის ერთ ცნობილ დიპლომატს შემდეგი უთქვამს: რუსეთს ჯარის სპარსეთიდან გაყვანის დაჩქარება საქირო არ არის, რადგან რუსეთის ინტერესები სპარსეთში ისეთი დიდია, რომ მათი უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელია, მარტო თავრიზში რუსებმა მილიონზე მეტი ზარალი ნახეს.

სპარსეთის ახალ მთავრობის სიძლიერეში ჩვენ ჯერ კიდევ დარწმუნებული ვერა ვართ. მართალია, თეირანში და მის ახლო მახლო წესიერება დაამყარეს, მაგრამ განაპირა ადგილებში ვერ იქონიებენ ასეთ გავლენას.

ახალგაზდა შაჰს, რასაკვირველია, ფაქტიურათ არაფერი მნიშვნელობა აქვს და რეგენტი კი მოხუცია და თავის დლეში ენერგიის მექონე არ ყოფილა.

ასეთ მდგომარეობაში შესაძლებელია სპარსეთში პარტიათა შორის და გავლენა უფლებისათვის ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილამდე მიახწიოს და მოულოდნე-ლი სიურპრიზები გაგვიკეთოს.

შაჰის სპარსეთში ყოფნაც შესაფერ იმედს მოგვცემს მშვიდობიანობის დამყარების.

შაჰის გა**ს**ვლაზე დიპლომატმა განაცხადა: — ძნელია ამის თქმა. ეს ადვილი საქარ არის. სპარსეთის მთავრობამ უნდა გადასწყვიტოს პენსიის და შაჰის მამულების საკითხი. შაჰს ადერბეიჯანში მამულები აქვს, თუმცა ის იმდენს არაფერ შემოსავალს არ აძლევს.

შაჰის აღმზრდელ პოლკოვნიკ სმირნოვზე დიპლომატმა სთქვა, რომ ის ინტელიგენტი და განათლებული კაციაო. ის პოლიტიკაში ნაკლებათ ერევა და თავის საქმეს ასრულებს, რომ აღზარდოს ახალგაზრდა შაჰი.

## არეულობა ესჰანიაში

მაროკკოს ამბებმა დიდი არეულობა გამოიწვია ესპანიაში.

სხვადა' ხვა ქალაქებში ათი ათასი ხალხი დემონსტრაციებს მართავენ და მოითხოვენ შესწყვიტონ ჯარის მობილიზა-

აქა იქ მოხდა სისხლის ღვრა პოლიციელებთან შეტაკების დროს.

მთავრობამ ბრძანება გასცა ძალა იხმარონ და გარეკონ დემონსტრატები.

ოპოზიციურ გაზეთებს იჭერენ. მარო-

კოს ამბებს სასტიკ ცენზურას უკეთებენ.
დღე და დღე დეპეშებს სენსაციური
ამბები მოაქვს. ამ დღეებში მეფემ დეკრეტი გამოსცა, რომლითაც კონსტიტუციის გაუქმებით ემუქრება ხალხს. აქა იქ
საალყო წესებიც შემოიღეს. უკანასკნელი დეპეშები სავსეა ცნობებით ესპანიის
სხვადასხვა ქალაქებიდან. ხალხი აღშფოთებულია, დემონსტრანტებს ზოგან სალდათებიც მიემხრენ, ზოგან უარი სთქვეს
თოფები ესროლათ. დღევანდელ დეპეშებში შემდეგი ამბებია:

დ ე კ ე უ ე გ ე. (პეტ. დეპეშ. სააგენტოსაგან) 16—17 ივლისი.

სერბერი. მადრიდიდან იტყობინებიან, რომ აუარებელმა ხალხმა, რომელსაც სალდათები მიემხრენ, მეფის სასახლის წინ დიდი დემონსტრაცია გამართა და ყვიროდენ "ძირს ომი"-ო.

სერბერი. 15 ივლისს ბარსელონაში არეულობამ უფრო იფეთქა. პოლიციე-ლებთან შეტაკების დროს მოკვდა 11 და დაიქრა 50 კაცი. ჯარი უარს აბ-ხალხს თოფი ესროლოს. არეულობა კა

Osmuerps guda.

მადრიდი. მელილიდან მოსული ოფიციალურ ცნობით მაროკოელებმა ჩრდილოეთ აფრიკის რკინის გზაზე ლიანდაგი აჰყარეს. ესპანელთა ორმა რაზმმა მაროკელები გაფანტეს და მოძრაობა აღადგინეს. მაროკელებმა ბევრი დაკარგეს. ესპანელებს მოუკლეს და დაუჭრეს 200 კაცი მათ შორის გენერალ პინტასის გარდა ბათალიონის ორი უფროსი.

ოფიციალური ცნობებით ბარსელონაში ბარიკადებს თოფები დაუშინეს. ქუჩებში განცხადებაა გაკრული, რომლითაც ურჩევენ მშვიდობიან მცხოვრებთ ისხდენ თავიანთ სახლებში.

მადროდი. 15 ივლისს მეფემ მინისტრ პრეზიდენტ და სამხედრო მინისტრთან თათბირი გამართა, არეულობამ ალკოსა და რიოშიც იფეთქა. შინაგან საქმეთა მინისტრმა მისწერა ყველა გუბერნატო-რებს უსასტიკესი ზომები მიიღონ უწესოების ჩასაქრობათ.

მელოლია. 14 ივლისიდან რკინის

გზის მოძრაობა შესწყდა, რის გამო ეს3ანელთა ჯარს საქირო სურსათს და საომარ მასალას ვეღარ აწვდიან. მელილილიაში საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო. ბრძოლა ქალაქის ახლოა. პინტასის
გარდა ესპანელებს მოუკლეს ერთი პოლკოვნიკი, ორი პოდპოლკოვნიკი, ერთი მაიორი, ხუთი კაპიტანი, მრავალი
აფიცერი და ათასი სალდათი. დაქრილია
ორი ათასზე მეტი, მათ შორის მრავალი

აფიცერებია.
მადრიდი. ორმა კრეისერმა ბრძანება
მიიღო წავიდეს ბარსელონისაკენ.

# 08060609

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ന്യൂട്ടാരം

ვენა. "კორრ. ბიურ". დეპეშით ატყობინებენ კონსტანტინოპოლიდან, რომ
ავსტრიის ვიცე კონსულს პრიზრენში
14 ივლისს თავს დაესხა ერთი ალბანელი და რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა, ვიცე-კონსული უვნებლათ გადარჩა.

კონსტანტინოპოლი 16 ივლისს გემ "კოლხიდით" ბუიუკედერში მოვიდა რუსეთის ელჩი ჩარიკოვი. ელჩი მხლებ-ლებთან ერთათ წავიდა დოლმაზახჩეში, სადაც სულთანმა მიიღო აუდიენციაზე. აუდიენციის დროს ჩარიკოვმა შემდეგი. სიტყვებით მიმართა სულთანს.

"მე ბედნიერება მაქვს დაგარწმუნოთ თქვენო უდიდებულესობავ, ჩემა ხელმწიფის თქვენ უდიდებულესობისა და 
ოტტომანის იშპერიისადმი გულწრფელ 
მეგობრობაში. მთელი ჩემი მოქმედებით 
მომავალში ვეცდები ხელი შევუწყო ამ 
კეთილ განწყობილების განმტკიცებას". 
შემდეგ ამის ჩარიკოვი წავიდა დიდ ვეზირთან სადარბაზოთ, რომელმაც დაუყონებლივ სამაგიეროთ ეახლა საელჩოში. 
6 უ ს 0 0 0.

იაროსლავლი. 16 ივლისს მთელ გუბერნიაში საშინელმა ქარიშხალმა დაგლიჯა ტელეფიანის მავთულები, დაამტვრია ხეები და სახლის სახურავები. ზარალი დიდია.

ეკატერინბურგი. დაიწვა ირბიტის ხეტყის საწყობი. ზარალი 100,000 მანე-

ლოძი. სოფელ წმინდა ანნაში უცნობმა მოჰკლა სტრაჟნიკი.

პეტერბურგი დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 41, მოკვდა 17, ავათ

არხანგელსკი. ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 7, არხანგელის მაზრაში ავათ გახდა 1, მოკვდა 3. ხოლმსკის მაზრაში ავათ გახდა 4, მოკვდა 1, პანეჟში—1.

რიბინსკი. ავათ გახდა 6, მოკვდა 4. ფეოდოსია. ფეოდოსიის არტელთან მოლაპარაკება შეთანხმებით გათავდა. მუშები დასთანხმდენ კვირა დღეობით საქონლის გადაზიდვაზე. ექსპორტერები— შარშანდელ შრომის ფასზე. სიცხე 45 გრადუსამდე ადის.

ადესა. სასამართლომ სტუდენტთა ცენტრალურ ორგანოს საქმის გამო ყველა ბრალდებულები გაამართლა.

პარიჟი. მინისტრთა საბჭოში პიშონმა მოხსენება გააკეთა მაროკოსს მისსიასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. პიშონმა მისწერა გენერალ ჟოინარს ალჟირში მყოფ მარკოელებს ნება არ მისცეს გადავიდენ მელილიაში.

# 34727420<u>2</u>0

วเอเก

სამგზავრო ბილეთებზე ფასის დაკლება. განზრახულია პირველ ნოემბრიდან დაუკლონ ფასი მეორე კლასის სამგზავრო ბილეთებს, პირველ და მესამე კლასის ფასი იგივე დარჩება.

უცხოეთის კაპიტალისტები რუ'ეთში გაზეთის გამოცემას აპირცბენ. ამ დღეებ-ში პეტერბურგში იყვენ ლონდონის კაპიტალისტების წარმომადგენელნი. მათ განზრახვა აქვთ გამოსცენ რუსეთში დიდი, ყოველდღიური გაზეთი. გაზე ში პოლიტიკას ნაკლები ადგილი დაეთმობა, მთავარი ყურადღება მიეცემა სოფლის ცხოვრებას. ინგლისელები უკვე მოელაპარაკენ ზოგიერთ ლიტერატორ მოღვაწეებს და ლონდონისკენ წავიდენ, რომ შეიმუშაონ უკანასკნელი პირობები.

"რუსთა კავშირი"-ს წინააღმდეგ. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გაუ-გიათ იუსტიციის სამინი! ტრო მხოლოდ მარჯვე დროს უცდის, რომ გაილაშქროს "რუსთა კავშირი"-ს წინააღმდეგ და სა-ბოლოთთ წესი აუგოს მას.

საუბარი ყოფილ დეპუტატ ნ. ჟორდანიასთან. ნ. ჟორდანია 9 ივლისს გაანთავისუფლეს "კრესტიდან". მას ძლიერ ეტყობა სატუსაღოს რეჟიში, წვერში ბევრი თეთრი შერევია.

— ჩვენ, კავკასიელები ადრე ვბერდებით, მე არც ისე ახალგაზდა ვარ, ხუმ-

რობს ჟორდანია.
— სატუსალოს შთაბექდილება? რა
ვსთქვა: სატუსალოდან ძალიან ცუდი
შთაბექდილება გამოვიტანე. ყველა ტუსალები ცალ-ცალკე სხედან, ერთმანეთთან დამოკიდებულება შეუძლებელია.
ძველი ტუსალები ამბობენ, რომ დიდი
ხანი არ არის, რაც მთელ ციხეში "კაკუნის" ხმა გაისმოდაო. ახლა კი სასტიკათ სჯიან კედელზე დაკაკუნებისთვის.
— ახალი ამბები მაინც გაიგეთ რამე

— წარმოიდგინეთ, არა. ლოპუხინის დატუსაღების შემდეგ ჩვენ ცოტა რამ

გავიგეთ აზეფის შესახებ, ან **დ**ა როგორ ვერ გავიგებდით, როცა ამ ამბავმა მთელი სატუსალოს ადმინისტრაცია გააკვირვა.

სამაგიეროთ, ლოპუხინის გასამართლება და გარტინგის ამბავი ჩემთვის სულ ახალი ამბავი იყო განთავისუფლების შემდეგ.

— როგორი რეჟიმია ახლა "კრესტში"?

— ჩემ იქ ყოფნაში ორჯერ გაუარესდა
იქაური რეჟიმი. უმეტესათ ლოპუხინის დაჭერის შემდეგ დაიწყო სატუსაღოს წესების სავსებით აღსრულება. მთელ სატუსაღოში ყაზარმის ღისციპლინა გამეფდა
და ცუდი გავლენა იქონია ტუსაღებზე.

კითხვასა და წერას მიჩვეულთათვის მეტათ ძნელი იყო, რომ ცხრა საათიდან ლამპის ანთების ნებას არ გვაძლევდენ წინათ კი 10—11 სათამდე შეიძლებოდა. ჟორდანია ამ დოეებში წავა პეტერ ბურგიდან.

აჯანყება ტიბეტში. ტიბეტში აჯანყებამ იფეთქა. მიზეზი ჩინეთში რეფორმების შემოლებაა.

გარტინგები ფინლიანდიაში ბურცევს ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე განუცხადებია, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ის გამოამჟღავნებს ფინლიანდიაში რუსეთის პოლიციის მოქმედებას. ეს გამომჟღავნება გარტინგის საქმესაც კი დაჩრდილავს.

კურნალისტთა პროტესტი. ზაგრების პროცესის გამო საფრანგეთის ჟურნალისტებმა შემდეგი პროტესტის დეპეშა გაუგზავნეს უნგრეთის ჟურნალისტებს:

"ქვემორე ხელის მომწერნი საფრანგეთის ჟურნალისტები მიმართავენ თავის
კოლეგებს, ხმა ამოიღონ მთელი პრესის
სახელით ზაგრების პროცესის წინააღმ
დეგ ამ პროცესით დამნაშავეთა სკამზე
დასვეს სრულიად უდანაშაულო ხალხ,
თავიან რწმენისა და მიმართულერსათვის.
მათ ბრალს სდებენ, რომ გაარცეთეს
გაზეთები, კალენდრები და ფუცლები,
რომლებიც თავის დღეში აკრძაული არ
ყოფილა. საფრანგეთის ჟურნლისტები
სთხოვენ უნგრეთის ჟურნალისებს, წინააღმდეგობა გაუწიონ ამ როცესით
ფეხ-ქვეშ არ გათელონ აზრის და ბეჭდვის თავისუფლება.

დეპეშებს ხელს აწერენ: გტონ კალამეტი, ჟან დიუპუი, ანდრიც ებარარი, ჟან ჟორესი და მრავალი სხ.

# აფრანგეთის ახალი პრემრ-მინისტრი.

როგორც მკითხველებ ეხსომებათ, საფრანგეთის პარლამენტა ამ უკანასკნელ დროს დიდი შეტება მოუხდათ დეპუტატებსა და მინტრ-პრეზიდენტ კლემანსოს. და სხ. ელა ამას შედეგათ მოყვა კაბინეთ გადადგომა. კლემანსო გადადგა. ებიდენტმა ფალიერმა ამის შესახებ ჯელიაბა იქონია ცნობილ პოლიტიკურ ოღვაწეებთან და მოუწოდა ბრიანს კაბითის შესადგენათ. როგორც დეპეშებმა დმოგვცეს, ბრიანმა მიიღო წინადადებადა უკვე შეადგინა კაბინეთი. კაბინეთშიბევრი წინანდელი მინისტრები დარჩენ.

არისტიდ ბრიანი ქოცდილი და ცნობილი პოლიტიკურ მოღვაწეა. თავის
რწმენით ის წინათ ნდიკალისტთა რაზმს
ეკუთვნოდა. წინანელი უკიდურესი მემარცხენე და მტკიე მქადაგებელი კლასობრივი ბრძოლი უკიდურეს საშუალებების, ბრიანი რკორმისტი გახდა. ეხლა
ის მთელ თავის ოღვაწეობას ამყარებს
პოლიტიკურ, და აოციალურ რეფორმებზე.

თავის შეხედოებით ის ეხლა არც სინდიკალისტიადა არც მართლმორწმუნე მარქსისტი -დემოკრატი. ის უფრო രുമ്പൂനാക്ര ചെ ഗന്യരായവ്യാന് ഗാന്മുლში. ბრიანი ირველათ 1905 წელს სარიენის რადიკოურ კაბინეთში შევიდა სახალხო განალების და სარწმუნოების მინისტრათ. დრომდეც მან დიდი ყუ-കാര്രനൂർം മന്ദ്യനം, നന്ദ്രം, നന്മുനന്ദ്ര ത്യპუტატმა, მისენება გააკეთა ეკკლესიის სახელმწიფოან განცალკევების პროექტის შესახე აქ მან თავისი ტაქტიკით აშკარათ დნაბა ყველას, რომ ის პარლამენტის აუკეთესო მოღვაწე იყო. მან მოინდომა მ რეფორმის გატარება ისე, რომ არ ნღოდა გაეჯავრებია ისინი, რომლებს ზარალს მისცემდა ეს რეფოhas to agonoso, ast another, honganhes სოციალტები, ისე რადიკალები.

უკანცნელ სამინისტროში, კლემანსოს კანეთში, ბრიანს კულტისა და

იუსტიციის მინისტრის ადგილი ეჭირა და უკიდურეს მემარცხენე ფრთას ეკუთვ-

თუმცა ჯერ პრემიერ-მინისტრ ბრიანს არ გამოუმჟღავნებია თავისი პროგრამა, მაგრამ ამას წინათ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის დროს მან წარმოსთქვა სიტყვა, რომელში**ა**ც სავსებით ალნიშნა თავისი 36mamodo. მან ის აზრი გამოსთქვა, რომ დემოკრატიული წეს-წყობილება არ განისაზოვრება მარტო მართვა-გამგეობის დემოკრატიზაციით, არამედ თვით ცხოვრებაში უნდა შეიტანოს ის შეხედულება, რომელიც მას საფუძვლათ უდევს. მისი სიტყვით ეკონომიურ ინტერესთა ბრძოლის სფერაში კანონმდებლობა უნდა ეცადოს შეიტანოს კონსტიტუციონური პრინციპი სახელმწიფო სამრეწველო წარმოების მართვა-გამგეობაში, მისცეს მოხელეებსაც სრული მოქალაქობრივი უფლებები, რამდენათაც ეს არ ავნებს საზოგადოთ სახელმწიფოს წეს-წყობილებას. ამ განცხადებიდან აშკარათ სჩანს თუ

ამ განცხადებიდან აშკარათ სჩანს თუ რა გზას დაადგება ბრიანი სოციალური რეფორმების გატარების საქმეში.

ამისთვის, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, საქირო იქნება გამბედაობა და ხალხის მასაზე დაყოდნობა, რადგან სოცხლური რეფორმების გატარების საქმეში ბიიანს ხელს შეუშლის სენატი, როmay ou jes dos jengdostal comal, გომელმაც თავისი გაუბედაობით ვერ გაახორციელა სოციალური რეფორმების ფართე პროგრამა, რაც მან აღუთქვა პრემიერ-მინისტრობის ამითების იდროს. ბრიანი კი გამბედავი და მტკიცე ხასიათის კაცია. მას, როგორც გამბედავ და ტაქტიკის მექონე კაცს, შეუძლია ძლიოს სენატი, და ამავე დროს შეიძინოს ოპოზიციის ხმები, რადგან ის დიქტატორობას არ დაიწყებს, როგორც ეს ჩაიდინა კლემანსომ, რითაც ოპოზიციის უკმაყოფილოება დაიმსახურა.

#### 306005 Un0890 10 ngmnbnb bbom88

არც ეს სხდომა გათავდა ლინცინდენტოთ. სხდომა შეუდგა სარედაქციო მუშაობას, წინანდელ დადგენილებების გადასინჯვას, და სხვა და სხვა ცვლილებების და დამატებების შეტანას.

ისევ დაიწყეს უკვე განხილულ კითხვებზე მსჯელობა, როგორც მაგალითათ, მორჩილების მაწანწალობა, გალობა, საერთო საცხოვრებელი და სხვა.

ტრთმა წევრთაგანმა ყურადღება მიაქცია, რომ ერთი დადგენილებათაგანი შეცვლილი იყო პრეზიდიუმის მიერ სიეზდის დაწყებისთანავე. მთელი სიეზდი უნდოთ უყურებს პრეზიდიუმს და უმეტესათ ეფისკოპოზ ნიკონს.

— მე არ მესმის, რატომ ჩვენი დადგენილებების პირი არ მოგვცეს?—განაცხადა არქიმანდრიტმა ტოვიმ.

ან და ამ მხრითაც ჩვენი სიეზდი არ უნდა გავდეს სხვა სიეზდებს? მოვაწერეთ ხელი—მორჩა და გათავდა.

მეც თითქმის ვრწმუნდები, რომ სიეზდზე ერთს დებულობენ და სინოდში კი სულ სხვას გზავნიან.

ვისაც არ შეუძლია შეასრულოს სიეზდის საქმე, ნურც ხელს ჰკიდებს.

მე არ შემიძლია ისე მუშაობა თუ ჩემი შრომის შედეგ**ე**ბი არ დავინახე.

ისედაც ყოველ მხრიდან გვიკიჟინებენ:
— სიეზდი დახურულია!

ვისთვის? ან რისთვის?

მართლაც რომ დახურულია, თუ წევრებსაც რალაცას უმალავენ.

ამ დღეს არქიმანდრიტ ტოვიის მიერ წარმოთქმულმა სასტიკმა სიტყვამ ყველას საღერდელი აუშალა.

ეფისკოპოზ ნიკონს სულ დავთარი დაებნა. ის წამოხტა თავის სავარძლიდან და დაიყვირა.

— დადგენილების პირი ჯერ მხათ არ არის!

— როგორ თუ არ არის?—ისმოდა აქეთ იქიდან პრისხანე ხმები.—განა ამ-დენი დრო გინდათ მის პოსამზადებლათ? აგერ მთელი კვირა გავიდა.

ეფისკოპოზი თავს იმართლებდა, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა.

სკვორცოვიც შეეც**ადა** ჩარეულიყო, მარა ისიც დააჩუმეს. — ტყუილათ ერეკით სხვის საქმეშ**ი,** 

— ტყუილათ ერეკით სხვის საქმეში, კერძო პირებს კი არა, საქმეს უნდა ემსა-

ეფისკოპოზმა ნიკონმა ფიცი დასდო, რომ ყველა დადგენილებების პირს 11 ივლისამდე დაამზადებდა და სხდომაც დაიხურა. ნიკონი კიდეგ დიდხანს ამშვიდებდა აღელვებულ მამებს და რაკი კერას გახდა ბოლოს შეაშინა, რომ თუ არ დაჩუმდებით აი იქ, ვიღაც კორესპონდენტი დადის და ყველაქაგაზეტოთ გაუხდებითო.

სიეზდის წვვრებმა აქაც პროტესტი განაცხადეს—სხლომა ულროოთ დაიხუროი.
ამ ინციდენტს არ უნდა გამოეწვია
სხლომის დახურვა, რადგან ეს ყველა
სიეზდებზე ჩვეულებრივი მოვლენა არისო.
—თვით თავმჯდომარემ მისცა მას უწესოების და დემონსტრაციის ხასიათიო—განაცხადეს მათ.

თუმცა წინათ სიეზდი ბევრში ეთანხმებოდა ნიკონს, მაგრამ ეხლა თითქმის ყველა მის წინაალმდეგ ამხედრდა. მაგალითად, მორჩილთა მაწანწალობის შესახებ სიეზდი ერთხმათ ნიკონის წინაალმდეგ წავიდა და მორჩილებას მხარი დაუჭირა.

სიეზდის სხვა წევრები დასცინოდენ პროექტის იმ ნაწილს, სადაც ნიკონი ურჩევდა მიეცათ ურჩ ბერებისთვის "მგელის ბილეთი" ფოტოგრაფიული სურათით, რომ ყველა პოლიციელს შესძლებოდა მისი დაქერა.

— უკეთესი იქნება ყოვლად სამღვდელო ნიკონი სპეციალურათ ბერების
პოლიციას რომ შეადგენდეს, ეს მით
იქნება სასარგებლო, რომ ფოტოგრაფიული სურათი საქირო აღარ იქნება და
ბერი—პოლიციელი ისედაც იცნობს დასაქერ თავის თანამოძმეს. სურათის გადასაღებათ ხარჯიც აღარ დასქირდება მონასტერს—სთქვა ერთმა არქიმანდიტთაგანმა.

11 ივლისის სხდომა. 11 ივლისის სხდომაზე განიხილეს საკითხი სამონასტრო აგარაკების და სასტუმროების შესახებ.

რადგან სიეზდმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სასტუმროები განშორებით იყოს მონასტრიდან, დაადგინეს გა**დ**აიტანონ ეს შენობები მოშორებით.

აგარაკების საკითხმა კაშათი გამოიწვია.

გამოსთქვეს აზრი, რომ ერის კაცები ათას ჭორებს აფრცელებენ ამ აგარაკების

შესახებ.

— რასაკვირველია — ირწმუნებოდენ ორატორები—არაფერი ისეთი არ არის, რასაც ამბობენ. არის აგარაკები მეურნეო-ბის თვალყურის სადევნებლათ და სამინისტრო უფროსების დასაბინავებლათ, მაგრამ თუ ეს ქორებს იწვევს უმჯობესია სულ გაუქმდეს ის. მაშინ გაზეთების მოლაყბეებს საბუთი აღარ ექნებათ სწერონ, რომ ამ აგარაკებში მონასტრის მთავრობა პიკნიკებს მართავს.

ასეც დაადგინეს.

არ გააჩერონ მლოცველები სასტუმროებში სამ დღეზე მეტი. ამ შემთხვევაში არავის უპირატესობა არ მისცენ. ამ სხდომაზე ეფისკოპოზმა ნიკონმა

წარადგინა ალთქმული პირი დადგენილებების და მამები ცოტათი დამშვიდდენ. ამ დღეს მთელმა სიეზდმა სურათი გადაილო.

კორესპონდენტების წინააღმდეგ ამ დღეს უფრო სასტიკი ზომები მიიღეს. (რ.)

# გარტინგთან ბაასი

გაზეთ "რეჩი"-ს კორესპონდენტი შემდეგს მოგვითხრობს გარტინგის შესახებ:
"როგორც კი გაზეთებში გამოცხადდა,
გარტინგი პეტერბურგში არისო, საშინელი სურვილი აღმეძრა მისი ნახვის.
გადავსწყვიტე, როგორც უნდა ყოფილიყო მეპოვნა მისი პინა და მისი პირიდან გამეგო ყველაფერი.

შემთხვევით გავიგე გარტინგის ადრესი და ორშაბათ დილით 8 საათზე კარებზე მივადექი. გარტინგის სახლთან ათამდე სულ სხვა ჯურის მეეტლები სდგანან, ვეცითხები და მეუბნებიან, რომ ამ დღეებში აქ ორი უცხო პირი მივიდაო და სხვა ერთი სიტყვაც არ მითხრეს.

სამშაბათ დილით ისევ მივედი. ეზოს კარებიდან გამოვიდა საშუალო ტანის კაცი. ის თითქო მეცნობა.

ცოტა ხნის შემდეგ იმავ კარებედან გამოვიდა მეორე კაცი და ეტლით სადლაც წავიდა.

ოთხ საათზე ისევ გაიარა ჩემს ახლო პირველმა, დავაკვირდი. ის აღმოჩნდა დუმის დამცველი აფიცერი პონომარევი. პარასკევს საღმოთი, როგორც იქნა, ველირსე გარტინგის ნახვას ბალში. ის გამოვიდა სახლიდან და მარტოთ მარტო ჩქარის ნაბიჯით წავიდა ბალისკენ. დაჯ-

და თუ არა სკამზე, მეც შორი ახლო მოვუჯექ და არც ვაცხელე, არც ვაცივე

პირდაპირ დავიწყე. უკაცრაგათ, მაგრამ მე თქვენ გიცანით, თქვენ გარტინგი ხართ და მივეცი

ჩემი სადარბაზო ბარათი. — უკაცრავათ, მაგრამ თქვენ შესცდით. აბა დამიმტკიცეთ, რომ მე გარტინ-80 30h.

მე მოვუყევი, როგორ ვუთვალთვალებდი, როგორ წავიდა ის და პონომაmagn co lbgs.

-- ნემეცურათ ლაპარაკობთ.

- sho.

— ფრანგულათ?

— მაშ, წავიდეთ იქით, აქ საფრთხილოა ლაპარაკი, ჩვენ მოვნახეთ მყუდრო ადგილი ბაღის კუნჭულში. მოვატანინეთ ყავა და დავიწყეთ ბაასი.

— კითხვებზე პ**ას**უხს მოგცემთ—მკით-

ხეთ! - დაიწყო მან.

— მითხარით ბ. გარტინგ, როცა თქვენ რევოლიუციონერებთან იყავით რატომ ატარებდით ლანდენზენის გვარს. — უკაცრავათ! თქვენ გინდათ შკითხოთ ლანდენზენი! ვარ მე თუ არა?

- consb!

— ყველაფერი ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. ოდესღაც მეც მიტაცებდა ეს სულელური იდეები, მონაწილეობას ვილებდი ტერორისტულ აქტებში, მაგრამ ყოველივე ეს ჩქარა გაქრა... კიდევ რა გინდათ გაიგოთ ჩემგან? —უცბათ შემეzaoso al.

- როდის შედით მთავრობის სამსახურში?

— პარიჟის ბომბისტების დაჭერის საქმეში 1890 წელს მონაწილე არ ვყოფილვარ. აქ მე ცილს მწამებენ, ეს საქdg bbgod hongonto, bbgod!

— იქნებ თქვენ გაგვაგებინოთ ვინ ჩაიდინა, რომ თქვენზე ეჭვები გააქარ-

\_\_ მე არ შემიძლი**ა დ**ა არც ვიცი by amnorbingor.

— როგორ გახდით თქვენ მთელი საზოვარ გარეთის საიდუმლო პოლიციის

— ბურცევის ანარქისტულ ჯგუფის ჩავარდნის შემდეგ მე რწმენა შემეცვალა. დავინახე, რომ გიჟ ანარქისტებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ და რუსეთის საელჩოში მოხელეთ შევედი, ერი ხან მწერლათაც ვიყავი, მაგრამ პროვოკაციას კი არ ვეწეოდი და აი დასამტკიცებელი საბუთები: ყველა ჩემი ნაცნობი ანარქისტები დღესაც თავისუფლათ დანავარდობებ. როცა პოლიციის უფროსი გავხდი მე მუდამ , ვიცავდი გიჟ ბურცევს, რამდენჯერ უნდოდა საფრანგეთის პოლიციას მისი გაძევება, მაგრამ მე წინააღმდეგი ვიყავი და ეხლა კი, ჩემდა საუბედუროთ, ჩავიდინე ყველა ეს, თუ მე არა, ბურცევი დიდი ხანია ან რუსეთის და ან საფრანგეთის სატუსა-നമ്പ രാന്യുളരാ ഗ്രാസം.

— თქვენ ბევრ რამეს გაბრალებენ, თითქო თქვენ გარონ შტერნბერგის სახელსაც ატარებდით, მართალია ეს თუ

sho?

— არა, მე თავის დღეში ბარონ შტერნბერგი არ ვყოფილვარ. როცა საზღვარ გარეთ ვიყავი არა ერთხელ მოუმართავს რუსეთის პოლიციას მიმეწოდებია ცნობები ბარონ შტენბერგის შესახებ, მაგ-നാര പ് മുത്രാർ വരാത്രുർന്തും.

— რათ წადით თქვენ ასე ჩქარა გერმანიიდან და პასუხი არ მიეცით ბურ-

3369 — მე ამ ისტორიის გამ**ო**მჟღავნებამდე მინდოდა სამსახურისთვის თავი დამენებებია და ჩემი საქმეები საზოვარ გარეთ უკვე მოვაწესრიგე, და პეტერბურგში ვაპირებდი წასვლას, რომ დამეჩქარებია დათხოვნის საქმე, მხოლოდ სამი დღეა რაც ეს მივიღე, დღეს ვათავებ ყველა საქმეებს და მივდივარ რუსგთიდან. ჩემზე კიდევ გაიგონებენ რამეს, მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ. დეე იყვირონ გაზეთებმა, შევკრებ საბუთებს, ჯეროვან პასუხს გავსცემ ცილის მწამებლებს და დავუმტკიცებ, რომ სტყუიან. მე პროვოკატორი არ ვყოფილვარ. მე პატიოსნათ ვემსახურებოდი რუსეთის მთავhombol. oh had oly oh ymanomnym, პასუხისგებაში მიმცემდენ, მე კი მადლობა და 5000 მანათი წლიური პენსია

მივილე. — ბურცევის ბედი გადაწყვეტილია ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მან ქირისუფლები, როგორც დღეს დაატარე- აზრის გამომხატველი ორგანო შექმნან;

—საფრანგეთი მას გამოაძევებს, მის წინააღმდეგ საბუთები შეკრებილია, ის სა-പ്രവാദ്യായില്ലെ

— სად მიდის თქვენი თანამშრომელი პონომორევი, და რა როლს თამაშობდა ის ბერლინში.

— ის ისევ დაცვის სამსახურში შედის ბერლინში ის ჩემი თანაშემწე იყო და თვალყურს ადევნებდა რუს რევოლიუციონერებს.

— იქნება იცოდეთ ვისზე აქვს ეჭვი ბურცევს, ვინ უნდა იყოს საბჭოს წევრი 3mmgmjoommo?

- sho, shoggho sh gour.

— როგორი დამოკიდებულება გქონდათ თქვენ აზეფთან და იცოდით თუ არა, რომ ის ს.-რევოლიუციონერთა პარტიის 

— აზეფს მე დიდი ხანია ვიც**ნ**ობ, ვიცი, რომ ის შევიდა რევოლიუციონურ პარტიის ცენტრში. ის პატიოსანი და ქკვიანი კაცი იყო, თავის მოვალეობას კარგათ ასრულებდა, ამიტომ მას ყველა აფასებდა პეტერბურგში, ის ჩემი მარჯვენა ხელი იყო და სა**ზღ**ვარ გარეთ მეორე ჩემ თანაშემწეთ ითვლებოდა. ის კეთილი კაცია.

